№ 221. ოქტომბრის 13, შაბათი. 1866—1884 ოქტომბრის 13, შაბათი. № 221.

ტფილისი

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ რედაქცია გადავიდა

ახალს სადგურში,

დ. სარაჯოვის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

## შინაური ქრონიკა

— სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, სტატს-სეკრეტარმა ოსტროვსკიმ, რომელიც ეხლა იმ ზრუნვაშია, რომ გაამდიდროს სახელმწიფო შემოსავალი სხვა-და-სხვა წყაროთაგან, მიაქცია ყურადღება სხვათა შორის მეტის-მეტს სიმციროს შემოსავლისას კლდისა და ტბის მარილის მადნებიდამ ამიერ-კავკასიაში, რადგან მომეტებული სახელმწიფო მარილის მადნები იჯარით აქვთ მიცემული კერძო პირებს მცირე ფასად და ძნელი-კია ნამდვილი ანგარიში ფუთობით მარილის რაოდენობისა, რომლითაც მოიჯარადრენი სარგებლობენ, —ამისათვის სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეადგინა პროექტი და ამ პროექტის ძალით ფუთობით ფასი წლიურ გარდასახადზე შეიცვლება, ანუ მოიჯარადრენი ვალდებულნი იქმნებიან ნარდად აიღონ ხოლმე ეს მადნები.

— გორიდამ გვწერენ: „მოგეხსენებათ, რა-რიგად გამრავლდენ, არამც თუ გორში, არამედ სხვა ქალაქებშიაც ვექილები და აბლაკატები, მაგრამ ასეთი სიმრავლე ამ ცრუ ვექილებისა, როგორიც სუფევს გორში, მე მგონი, არ იყვეს სხვა ქალაქებში; იმის გარდა, რომ აქ სწევენ ვექილობას, არამც თუ ცოტაოდენად მცოდნენი ამ პროფესიისა, არამედ აქაური მოქალაქეებიც, ვაჭრები გინდა, თუ ჩინოვნიკები, თქვენ ნახავთ ახლო-მახლო სოფლის მამასახლისებსაც, რომელნიც ყოველ დღე სასამართლოს კარებზედ სხედან თავიანთ კლიენტებით და ყელ-გადაგდებულები უცდიან მოსამართლეს.

საჭიროდ ვსთვლი გაგაცნოთ ერთი ორიგინალური ტიპი აქაურის მელაძისა. აქ, ამ სასამართლოს კამერის წინ დაინახავთ თითქმის ყოველ დღე ერთ უმაწვილ კაცს, რომელიც უეჭველად უნდა ელაპარაკებოდეს გლეხებს. ეს უმაწვილი კაცი, რომელსაც მთელ გორში უწოდებენ სახელად ,,ლობიოს ბიჭს'', არის გამოჩენილი ვექილი. თურმე რამდენიმე ხანი იყო მოსამსახურედ ამ სასამართლოს კანცელარიაში და დაჰქონდა უწყებები დასარიგებლად გორში-გამ. გაიარა დრომ, შეასრულა ამ სუბიექტმაც მთელი კურსი იურიდიული მეცნიერებისა და მიიღო თუ არა დიპლომი და დაიტვირთა სიბრძნით, დაანება სამსახურს თავი და დაიწყო საზოგადო ასპარეზზედ მოქმედება. დადის ეხლა ეს პატიოსანი ყველა სოფლებში, ჰკრეფავს მიძველებულ ასის წლის თამასუქებს და ასაღებს თავის გამოცდილებით თეთრ ფულზედ. ეს გამოჩენილი ვექილი იმდენს ცოდვილობს, რომ გამოიტანს ფურცელს ამ თამასუქებზედ და საწყალს გლეხს, რომელსაც სიზმარშიაც არ მოელანდებია ასეთი უბედურება, უყიდის უკანასკნელს ძროხას. ეს ისეთი გაცვეთილი კაცია, ისეთი გამოქნილია ამ საქმეში, რომ ძვირად იქნება აქაურმა პატიოსანმა ვექილებმა მოუგონ მას საქმე, როდესაც იგი შეეხება თამასუქს და თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ამას კარგად აქვს გაცნობილი ხასიათი აქაური კანცელიარიის ჩინოვნიკებისა, არის ამასთანავე მათი კარგი მეგობარი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ისე ატრიალებს თავის საქმეს, როგორც თავის სურვილია. შეუძლიან, როცა უნდა, დაანიშვნინოს საქმე, როცა უნდა გადაადებინოს. ნეტა, წერა მაინც იცოდეს! ეს დალოცვილი ასე მუყაითად მოქმედობს აქაურ მწერლების შემწეობით და ასე მიჰყავს თავის საქმე. ამისთანა ეგზემპლიარზედ ამ წინაზედ იწერებოდენ სურამიდგან, ეს უთუოდ მეორე ნომერი უნდა იყოს. საკვირველი ეს არის, რომ ჩვენი მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს ამ პარაზიტს''.

— „თორნიკე ერისთავის“ ავტორი, ჩვენი პოეტი აკაკი, როგორც შევიტყეთ, სწერს ისტორიულს გალექსილს დრამას. სიუჟეტი ამ დრამისა აღებულია მე-XVII საუკუნოდამ. დრამა მალე დასრულდება.

შევიტყეთ აგრეთვე, რომ «განდეგილის» ავტორი, ილია ჭავჭავაძე, ამ ჟამად ამზადებს „ვეფხვის ტყაოსანზედ“ ლექციებს. ლექციებს წაიკითხავს ან ამ ზამთარს ან ზაფხულის პირზედ, დიდმარხვაში «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ.

თვით ლექციები თითქმის მზად არის დღესვე. ჩვენ გვგონია, რომ დიდად საინტერესო იქმნება საზოგადოებისათვის აკაკისა და ილიას შეხედულებათა შედარება ჩვენს უკვდავს პოემაზედ და ვფიქრობ, რომ ლექციების წაკითხვის გადადება დიდ-მარხვისათვის სრულიად მეტია; ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ ზამთრის პირშივე მოგვესმინა ილია ჭავჭავაძის აზრი ამ მუდამ და ყოველთათვის საყურადღებო საგანზედ.

— ი. გოგებაშვილისაგან შედგენილი წიგნი მოზდილ ყრმათათვის საკითხავად სახელად „კუნწულა“ და აგრეთვე წერის სასწავლო დედანი, შედგენილი მისგანვე მიუღია თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას ჩვენის საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ.

უნდა ვსთქვათ, რომ ეს სასარგებლო განკარგულება სრულის თანაგრძნობის ღირსია ჩვენის საზოგადოების მხრივ.

— მომავალს ოთხშაბათს, ოქტომბრის 17, დანიშნულია ბენეფისი ჩვენის ნიჭიერის არტისტისა კ. დ. ყიფიანისა. როგორც ამბობენ, ამ ბენეფისში წარმოდგენილი იქნება ,,დამნაშავის ოჯახი'', დრამა ჯაკომეტისა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საზოგადოება ღირსეულის პატივის-ცემით მოექცევა არტისტს და ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს მის სასარგებლო მოღვაწეობას.

— იმ გვარივე საერთო სადგური და საცხოვრებელი საერთო ოთახები იაფი სასადილოებითურთ, როგორიც დაარსდა თბილისის პირველ კლასიკურს გიმნაზიის ღარიბი შეგირდებისათვის, და-

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 13-ს

## ხევის ბერი

### გოჩა.

(მოთხრობა *)

### XVIII

ბინდ-ბუნდი იყო; დღე წყნარადა ჰქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები სევდიანად ესალმებოდენ მთის წვერებს. ბაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედა-მიწიდგან და ოშხივარსავით ეფინებოდა მწვანე მინდორს. სოფლის სიონის სამრეკლოდან ლამის გუშაგებს თავთავიანთ ადგილებზედ გასვლა ანიშნეს. ზარის ხმა დანოტიებულს, გაჟღენთილს მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ჟღრიალებდა. მოხევეთა გუშაგებს რაღაცა განსაკუთრებული მოუსვენებლობა ეტყობოდათ. ყველას პირისახეზედ მზრუნველობის ბეჭედი დასტყობოდა; გაფთხილებულნი სმენად და ქვრეტად გადაქცეულიყვნენ; მცირედი მოძრაობა არ გამოეპარებოდათ და თუ თვალით ვერ დაინახავდენ, მოძრაობის ხმას ყურს მაინც არის მოჰკრავდენ. ასეთია მდგომარეობა კაცისა, როდესაც იგი აღელვებულია, მოელის რასმე. მოხევეთაც გამოეცხადათ, რომ მომავალს ლამეს ნუგზარ უნდა დასცემოდა და ყველანი ემზადებოდენ გაუფთხილებლობით არა წაეგოთ-რა და სხვა კი ღმერთზედ და შემთხვევაზედ მიეგდოთ.

ამ საერთო მზადების დროს, გოჩას საწოლის კარები ვიღამაც შეაღო და იქავ შეჩერდა კარებში. მოხუცი ქუდ-მოხდილი და დაჩოქილი პატარა ჯვარცმის წინ იდგა და მხურვალედ ლოცულობდა. მას მაღლა აელო თავი და თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შეხურვებულ გულს სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორედ დალაგებული თმა, ეხლა ძარღვთა ქრიამულს აეშალა. გადაჭიმულს ყელზედ გამაგრებული და სისხლით გაჭედილი ნეშტები ხნიერებისაგან მოღმეჭილს კან ქვეშ ამობურცებოდა. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ სახის მოძრაობაზედ აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მოეცურა მთლად მისი არსება, შემორტყმოდა გულსა და სისხლს უჩუხჩუხებდა.

შემოსულმა ვერ გაბედა ამ წმიდა მყუდროების დარღვევა, წყნარ-წყნარად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას, ჯერ გახევდა, მერე წყნარ-წყნარადვე თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრძნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა; კიდევ ერთი წუთიც და აშკარად გაიგონა: «ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!» და ამ სიტყვებზედ კარებთან მყოფი შეჰკრთა. შეჰკრთა მოხუციც მის მოძრაობაზედ; მოიხედა და დასუსტებული წყნარად წამოდგა. მივიდა შვილთან ლასლასით, დაადო თავზედ ხელი და აღელვებულმა, მთრთოლვარეს ხმით განიმეორა:

— ღმერთო, ჩემი შვილი პირ-ნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს?..

ამ სიტყვებზედ მოხუცს გამხდარ ლაწვებზედ გადმოედინა მდუღარე ცრემლები, რომელნიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ველარ გაუძლო, მოხუცის მოჩვილების ხილვით თითონაც მოლბა და თვალები წვიმაში მზის მზგავსად გაუბრწყინდა. იმან იგრძნო, რა-რიგად უყვარდა მამას, რა უნდა ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსაცდელი-კი იქავ ახლოს, ზურგს უკან ედგა; რამდენიმე წუთის შემდეგ მთვარის შუქზედ მახვილი გაკრიალდებოდა და ჰაერში სტვენით და ზუზუნით წამოსული, ვინ იცის, ვის პირზედ ღიმილს გააცივებდა, ვის გრძნობის მოჩუხჩუხე წყაროს ყინვასავით მოასწრობდა.

— მამაისი, რაი გატირებს?

— ვინ იცის, რაი შეგემთხვევა, — ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

— რაი უნდა შემემთხვას? — გაუმაგრა გული ონისემ, — ღმერთი მოწყალეა!.. მტერს გავიბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

*) იხილე «დროება» № 215.

წესდა აგრეთვე მეორე კლასიკურ გიმნაზიის ღარიბი შეგირდებისათვისაც.

თქმა არ უნდა, რომ ამ გვარი საერთო საცხოვრებელი ადგილნი დიდს შეღავათს მისცემენ შეუძლებელ მოსწავლეთ, რომელნიც ხელ-მოკლეობისა და ღონის-მიების უქონლობისა გამო იძულებულნი იყვნენ მეტად უმზგავსს და სწავლისათვის სრულიად მოუხერხებელ გარემოებათა შორის ემზადებინათ თავიანთი გასაკვეთნი და აღესრულებინათ რთულნი მოვალეობანი ესლანდელის შეგირდისა.

## „დროების" კორესპონდენციები

**სოფ. მარტყოფი,** ოქტომბრის 5-ს. სამი წლის ფიქრის და მეცადინეობის შემდეგ, ძლივს ეღირსა სოფელს მარტყოფს ამ ზაფხულს საკუთარი სახლი თავისი სკოლისათვის. მკითხველი განცვიფრებაში შევა: სოფლის სკოლის სახლის აშენება რა მძიმე საქმე უნდა იყოს და ან რა დიდ-ძალი ფული იმას უნდა მოუნდეს, რომ სამი წლის განმავლობაში ძლივს აუშენებიათო. საქმეც ის არის რომ დიდ-ძალი ფული არ მოუნდებოდა და არც ძნელი საქმე იყო, მაგრამ ამ სახლის აშენება კი აქამდის ვერ მოეხერხებინათ, ანუ ვერ გაებედნათ. ეს ადვილი გასაგებია იმისთვის, ვინც ჩვენი სოფლების ვითარება და ზოგიერთა ყლაპია-კაცების უსინიდისობა იცის. ვერ გაებედნათ იმიტომ, რომ ხალხს გული აქვს გატეხილი და არავისზე ნდობა აღარა აქვს, რადგანაც ისე კაცები არ ამოურჩევიათ ყველა თავიანთი საქმეების განსაგებლად, რომ ვისმეს კბილი არ გაეკრას სოფლისათვის და ხელი არ მოეთბოს საზოგადოების ფულებით. ყოველთვის, ვინც კი ამორჩეულ იქმნა სოფ. მოხელეთ, რა საქმისთვისაც უნდა ყოფილიყოს: გინდა მოსამართლე-მამასახლისად, გინდა ფულის მკრეფავად, გინდა ვექილად ანუ მზრუნველად სადავო მამულებისა, რომელზედაც მარტყოფს დიდი ხანია დავა აქვს გამართული სოფელ ახ-თაქლასთან, გინდა მალაზიონერად და სხვა-და-სხვა, ყველა იტენდა თავის ჯიბეს..

ამის დასამტკიცებელი საბუთები ამ ჟამადაც ბლომად გვაქვს ხელში, მაგრამ იმათ აღწერას ასე პატარა წერილით ვერ მოვრჩებით და არც ესა მაქვს საგნად ამ ჟამად. ამათთვის შემდეგ მოვიცლით და ეხლა კი ისევ სკოლის სახლს მივუბრუნდეთ.

ამ წლის გაზაფხულის დამდეგს ბევრი ლაპარაკის, ბევრი აწონ-დაწონის შემდეგ, როგორც იქნა, გაბედეს საქმის დაწყება და გადასწყვიტეს საუმჯობესოდ ვისთვისმე იჯარით მიეცათ. მოიჯარადრენიც მაშინათვე აღმოჩნდენ და ვაჭრობის შემდეგ, დარჩა ერთს 3,200 მან., რომლის მოკრეფა ძრიელ სამძიმო საქმედ მიაჩნდათ, რადგანაც ფიქრობდენ, რომ ამორჩეული კაცები გაწერის დროს 3,200 მან. არ დასჯერდებიან და, რამდენიც იმათი ქეიფი იქმნება, იმდენს მოჰკრეფენო. მართლაც ასე მოხდა, და როგორც ამბობენ, 400 თუ 500 მანათი წაუმატებიათ იმ ფულისთვის, ვითომც თავის გასამრჯელოდ. მაშ, სოფელს ტყუილად ხომ არ ემსახურებოდენ!

დასრულდა სკოლის შენობა შუა სექტემბერში და 23-ს იმ თვეს ხალხის თანა-დასწრებით ეკურთხა მარტყოფის სამღვდელოებისაგან, რომელზედაც შესაფერნი სიტყვანი წარმოსთქვეს მარტყოფის ეკლესიის პირველმა მღვდელმა ქ. ბ. და სკოლის მასწავლებელმა...

მაგრამ, როდესაც ჩვენს საქართველოში ხალხი ასე მოწადინებულია სწავლა-განათლებისა და ამდენ ფულებსა ხარჯავს თავის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, გამოვა ვინმე „განათლებული" ჩინოვნიკთაგანი, რომელიც ხალხთან უფრო დაახლოვებული არის და დიდი სიკეთეც შეუძლია თავის გავლენით გაუწიოს სწავლა-განათლების საქმეს, მაგრამ რომელსაც ჭირივით ეჯავრება სოფელში სკოლის დაარსება და ყველა ღონის-ძიებით, თუმცა ცხადად არა, ხელსუშლის ამ კეთილს და სანაქებო დაწესებულებას. ერთი მოხელე, რომელსაც რეზიდენცია ჩვენს შორის უნდა ჰქონდეს, უმეტეს ნაწილად ქალაქში ატარებს დროებას, ამტკიცებს ზემოხსენებულ ფაქტს ნამდვილის სიცხადით.. ის გულის მწუხარებით ეგებება ამბავს, თუ რომელიმე სოფელმა მის მაზრაში განიზრახა სკოლის დაწესება, და ამბობს რაინდული უშიშრობით და გულის სიწრფელით, რომ თუ ამა და ამ სოფელმა სკოლა გახსნა, ეს მოსდით უგუნურობით, უცოდნელობით და სისულელით.. ამის დასამტკიცებელ მიზეზად ის მოჰყავს ბატონს, რომ საზოგადოება, მისი აზრით, გადადის ვილაცა დირექტორის ხელში და ვარდება მის უფლების ქვეშ.

საბრალო თბილისის მაზრაში ახალ-სოფელი და ლილო ამისთანა მოხელის ხელში: ამ სოფლებს განძრახვა აქვთ მომავალი წლიდგან გახსნან თავიანთი სკოლები, მაგრამ ვეჭობთ, რომ მათ შეისრულონ გულის წადილი. პ—იის მოხელე საშინლად დარდობს ამ ამბავზედ. ახირებული ფაქტი თუ გინდათ ეს არის! ზანა არ მოელოდით, მკითხველო?!

ერთი მარტყოფელთაგანი.

---

**თელავი,** ღვინობისთვის 4-ს. ენკენისთვის 30 და ღვინობისთვის პირველი შესანიშნავი დღე იყო თელავისათვის კერძოდ და კახეთისათვის საზოგადოდ. მოხსენებულს რიცხვებში მოხდა საზოგადო კრება იმ პირთა, რომელთაც ამ ერთის თვის წინად თხოვნა მიართვეს მთავრობას ქართული და რუსული წიგნების წიგნთსაკითხავის (ბიბლიოთეკა) გახსნის ნება-დართვაზე. ამ კრებაზედ ბ. როსტომაშვილმა მოახსენა კრებას, რომ მთავრობამ ნება-დაგვრთო წიგნთ-საკითხავი გავხსნათ ჩვენს თელავში და რადგანაც ძნელია საზოგადო საქმის მართვა უწესდებოდ, ჩვენც წესდება შევიმუშავოთო. ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე ჩვენს სულიერს ცხოვრებაში მან წარმოსთქვა დალაგებული სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს შემოკლებით:

«ჩვენი დრო იმისთანა დროა, ბატონებო, რომ ყველას აერთებს და ურთიერთშორის გვისპობს განსხვავებას. ერთად-ერთი განსხვავება, რომელიც არსებობს კიდევ ეხლა ადამიანთ შორის, არის განსხვავება აღზრდაში. ერთნი გამოდიან შემკულნი და შეიარაღებულნი მშობლებისაგან ყველა საჭირო სახსრებით და იარაღებით (სწავლა-მეცნიერებით), ხოლო მეორენი—ყოვლად უიარაღოდ და უსახსროდ. აი ამ განსხვავებულის აღზრდის დამხობას და აღმოფხვრას უნდა ვცდილობდეთ ჩვენ, თუ გვინდა, რომ ჩვენმა ხალხმა უფრო უკეთეს დროს მიაღწიოს... ამისათვის ყველაზე უწინარეს საჭიროა საყოველთაო სწავლა-მეცნიერების გავრცელება ჩვენს ხალხში!...

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ სკოლის სწავლა-მეცნიერების გავრცელებით ჩვენს ხალხში თითქმის ვერაფერს მივაღწევთ, თუ იმავე დროს არ აღვზარდეთ ხალხში ხალისი წიგნების კითხვისადმი. ტყუილი და ფუჭია ის სწავლა-მეცნიერება სკოლისა, რომელიც ადამიანში არსებობს მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე სკოლაშია და რაკი დაანებებს თავს სკოლას, თავს ანებებს ამ სწავლა-მეცნიერებასაც! ტყუილი და ფუჭია იგი, თუ სკოლაში ნასწავლთ არ ესმით, რომ სკო-

---

— ბძანოს შვილმა,— წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა. წადი, ონისე, დროა... ღმერთიმც იქნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც შვილის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების!.. მაგრამ ვაჟკაცად-კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს.

— მაგას ნახავ!

— არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ...

მოხუცი შესდგა, დააცქერდა შვილსა, რამდენჯერმე სცადა კიდევ რილაცის თქმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ხელი გაუქნია და ძლივსღა წარმოსთქვა:

— წადი, კარგია...

ონისე სწრაფად გამოვიდა და გაემართა დანიშნულს ადგილისკენ, მოხუცი-კი იმავ ადგილიდგან თვალს ადევნებდა იმ დრომდის, ვიდრე შვილი სახლის კედლებს არ მოეფარებოდა.

მერე ოდნივ ამოიხვნეშა, გადისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— ახლა ჯარს უნდა მივხედო.

### XIX

ონისე გასვლის უმალ გაემართა ნაროვანისაკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და თავისი გუნდის უფროსის ბძანებით მტერზედ თვალი დაეჭირა და მათი მოახლოვება დროზედ შეეტყობინებინა.

ის მიდიოდა ჩვეულებრივის სიფთხილით, როდესაც მის წინ რაოდენიმე მანძილზედ ქვა ვიღამაც შეანძრია. ონისე ვეფხვსავით გადახტა გზას იქით, ამოეფარა ქვასა და ღამის მშვიდობიანობის დამრღვევს მოელოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხევულს ბილიკზედ გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ ფეხის ხმა, რომელიც თან-და-თან ახლოვდებოდა, აშკარად ესმოდა. წუთიც და გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყვანდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთიდგან ჯარისთვის ყველი მოჰქონდათ.

ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევენი უნდა ყოფილიყვნენ და ის იყო თავის საფარიდგან გასვლას აპირობდა, როდესაც აშკარად გაიგონა თავის სახელი და სული განაბა.

მომავლები ხმა მაღლა ლაპარაკობდენ და თითქოს მათ შორის უკმაყოფილება ეტყობოდა.

ორნივ გაუსწორდენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზედ ჩამოსხდენ.

— ქალაუ, დაიწყო კაცმა,— ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

— რაი ვქნა, თუ კი არ მიყვარხარ.

— ვითმენდი და აბა... აქამომდის ზღვას დავშრობდა, რაც გულში ცეცხლი მენთების... მომკვდარიყავ მაინც,— გზა მოგეცემოდის.

— რაისთვი თავს არ მანებებ!.. რაი გინდა ჩემგან?.. ძალად ხომ ვერ შევიყვარებ.

— თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს.

— მაშ რაი გიყო?

— რაი გიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

— კარგია-ლა, ღვთის მადლსა, ბიჭაუ!.. გითხარ არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა.

კაცი გაჩუმდა რაოდენსამე ხანს და თავ-ჩაკიდებული იყო. შემდეგ წყნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდენ.

— იყუჩე, ქალაუ!.. შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მე აღარ გებრალები.

ქალმა შეხედა და მხრების აწევით უპასუხა:

— შესაბრალებელი რაი მაქვს!— მომკლავ და გული დამშვიდდების..

— მაშ აღარ იქნების?... არც როდის არ დამიბრუნდები, არ შემიყვარებ?

ლამ მისცა მათ მხოლოდ საშუალება თვით-განვითარებისათვის! ტყუილი და ფუჭია — თუ სწავლა-შესრულებული მოსწავლე ყოველ-დღე დაიარება სამინდვრო თუ სხვა-გვარ სამუშაოზე და სრულიად აღარ იხედება წიგნში!...

ეს ხომ აგრეა, ბატონებო, და მხოლოდ წერა-კითხვის მოყვარე ხალხთ აქვთ რამე მნიშვნელობა...

როდესაც მონტესკიე მოგზაურობდა ინგლისში, ის ყველაზედ მეტად განკვირვებული იყო შემდეგის სანახავით: მან დაინახა, რომ ერთი სახლის სახურავის მკეთებელს მეფოსტემ მიაწოდა გაზეთი, რომელიც მუშამ იმ წამსვე მარდად გადაფურცლა, წაიკითხა უფრო საჭირო ადგილები და ისევ ხელი მიჰყო თავის მუშაობას. ამ მაღალი სახურავიდამ მუშა თვალს ადევნებდა თავის მმართებლობის პოლიტიკას და მინისტრების ყოფა-ქცევა-მოქმედებას! მონტესკიე იმისთანა აღტაცებაში მოვიდა, რომ უნებლიედ წამოიძახა: «აი დიდი ქვეყანა! აქ გაზეთებს სახლის სახურავებზედაც კითხულობენო!"...

მართალიც არის: ის ხალხნი არიან ყველაზე დიდებულნი და მდიდარნი, რომელნიც მეტს კითხულობენ. მაგალითად აიღეთ ამერიკა. იქ ყველაზე მეტს ყურადღებას აქცევენ ხალხის სწავლა-განათლებას და რასა ვხედავთ: 29 მილიონი ამერიკელი იმდენსავე ქაღალდს ხმარობს, რამდენსაც მთელი საფრანგეთი და ინგლისი ერთად! ერთი ამერიკელი კითხულობს უფრო მეტს, ვიდრე ოთხი ფრანცუზი ერთად....

რასაკვირველია, ყველას მოეხსენება, რომ წიგნი არის გროვა რამდენიმე თაბახი ქაღალდისა, რომელზედაც დაბეჭდილია ასოები, მაგრამ რა შეადგენს წიგნის ღირსებას, ეს კი ყველამ არ იცის. წიგნი არის სული და ჭკუა-გონება დამწერისა, რომელიც მოშორებულია ჩვენგან სივრცით და დროით. წიგნები, შეგროვილნი წიგნთ-საკითხავში, გონებითის თვალით რომ შევხედოთ მათ, წარმოგვიდგენენ უდიდეს აზრებს, ყველა ქვეყნების და ყველა საუკუნოების უდიდეს მოაზრეთა, რომელნიც გვასწავლიან და გვანუგეშებენ ჩვენ. ქვეყანაზე ყველაფერი არა-სრულია: ადამიანები იხოცებიან, ძეგლები ოხრდებიან... მხოლოდ აზრი კაცისა არის უკვდავი. შოთა რუსთაველი, საბა-სულხან ორბელიანი მოკვდაო, მიიცვალაო! მე მგონია, რომ არ მომკვდარან, ან თუ მიცვლილან ხორცით, სულით და გონებით ისევ ჩვენთან არიან იმ წიგნების მეოხებით, რომელნიც მათ დასწერეს: გუშინ საღამოსაც კი ვესაუბრებოდი ერთს მათგანს. მე ვიცნობ იმას ისე, როგორც თქვენ და იქნება უკეთაც...

ერთი სიტყვით, ბატონებო! წიგნები, რომელნიც მოგვცემენ საშუალებას ვიაზროთ, ვისაუბროთ ყველა საუკუნოების გამოჩენილ კაცებთან, შევიგნოთ მათი აზრები, იმისთანა სიმდიდრეს წარმოგვიდგენენ, რომელსაც ვერა-გვარი სხვა სიმდიდრე ვერ შეედრება.

ამისთანა ძვირფასი საუნჯე, სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლიან იქონიოს. თუმცა წიგნები ძვირად არ იყიდება, მაგრამ, თუ შეიყვარებთ კითხვას, მაშინ ნათლად დაინახავთ, რომ მთლად თქვენი შეძლება არ გეყოფათ დასაკმაყოფილებლად კითხვის მოუკვლელის სურვილისა. ასიოდე წიგნის სყიდვა თქვენ, იქნება, კიდევ როგორმე მოახერხოთ, მაგრამ ორასი, სამასი და ათასი წიგნი რომ შეიძინოთ—უნდა იყვნეთ მდიდარნი.

და რადგანაც კაცის ბუნებაშია იმ გვარი საშუალების გამოძებნა, რომელიც ასე თუ ისე უნდა აკმაყოფილებდეს მის საერთო მოთხოვნილებას, ამისათვისაც იმ გვარი საშუალება გამოძებნეს, რომელიც ყველასათვის ხელმისაწდომი იყო. გამოძებნეს საზოგადო წიგნთ-საკითხავების დაარსება.

პირველი, რომელსაც თავში მოუვიდა ეს მშვენიერი აზრი, იყო ამერიკელი ფრანკლინი, უბრალო მუშა. ერთხელ ამან უთხრა თავის ამხანაგებს, ასოთ-ამწყობებს: ჩვენ თორმეტნი ვართ; ყველა ჩვენგანს მოეპოვება რამე წიგნი; თუ ერთს ადგილს მოვუყრით თავს ამ წიგნებს, მაშინ ყველა ჩვენგანს შეეძლება წაიკითხოს თორმეტი წიგნი; და თუ აგრეთვე შევერთდებით ასი, ორასი და სამასი პირი, მაშინ ყველა ჩვენგანი ისარგებლებს ასი, ორასი და სამასი წიგნით. ხომ ასე მცირედით დაიწყო ფრანკლინის წიგნთ-საკითხავი და ამ ჟამად კი მასში ირიცხება 800,000 წიგნი..."

სიტყვის შემდეგ კრებამ შეიმუშავა წესდება. წესდების შემუშავების შემდეგ, საზოგადოებამ ამოარჩია საზოგადოების საქმის-გამგებლად: მ. ციცქიშვილი, ზ. ჩხიკვაძე და კ. ნასიძე და ზედამხედველ-რჩევაში: ი. როსტომაშვილი, ს. ჯაჯანიძე და ს. ზარაფოვისა. გამგეობამ უკვე დაიწყო თვისი მოქმედება და იმედი აქვს, რომ საქმე კარგად წავა.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ მივმართოთ და არ ვსთხოვოთ ყველას, ვისაც და რითაც შეუძლიან (წიგნებით და ფულით) ხელი მოუმართოს ამ ახლად დაწყებულს საქმეს, როგორც ეს ინება თავ. ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძემ, რომელმაც გარდა იმისა, რომ რამდენიმე წიგნი შემოსწირა ჩვენს წიგნთ-საკითხავს, ერთი თუმანიც ფულად შემოიტანა...

## წესდება თელავის საზოგადო წიგნთ-საკითხავისა (ბიბლიოთეკის) საზოგადოებისა.

ა) თელავის საზოგადო წიგნთ-საკითხავის (ბიბლიოთეკა) საზოგადოება არსდება ქ. თელავში.

ბ) ამ საზოგადოებაში წევრად მიიღებიან ორივე სქესის მცხოვრებნი ქ. თელავისა და მისი მაზრისა და აგრეთვე დროებით მცხოვრებნი ამ ადგილებში.

გ) ამ საზოგადოებას საგნადა აქვს: გამართვა თვისი წევრებისათვის ქართული და რუსული წიგნების წიგნთ-საკითხავისა.

დ) წიგნთ-საკითხავში კითხვა შეუძლიან წევრების გარდა ყველას, ვინც გადიხდის ყოველს შესვლაზედ თითო შაურს.

ე) წლის კალდებულ შესატან ფულად ყველა წევრისათვის ინიშნება სამი მანეთი, რომელიც შეიძლება წევრმა შეიტანოს ორი ვადით: ერთი წილი წლის დასაწყისს და მეორე შუა წელს.

ვ) გარდა წლის ფულისა, საზოგადოების შეძლება შეივსება შემოწირული ფულით და აგრეთვე იმ ფულებით, რომელიც შემოუვა საზოგადოებას თავისით ანუ სხვისაგან გამართული სპექტაკლებიდამ, კონცერტებიდამ, სალიტერატურო საღამოებიდამ და სხვანი.

ზ) რომელი წევრიც არ შემოიტანს ხვედრ ფულს, გამოირიცხება საზოგადოებიდგან და არც მისგან შემოტანილი ფული დაუბრუნდება უკან.

ჱ) წიგნთ-საცავის და ყოველი თვისი საქმეების წარმოებისათვის საზოგადოება ირჩევს თვის შორის სამ წევროვან გამგეობას, ერთის წლის ვადით, რომლიდგანაც თვით გამგეობა ერთს ირჩევს თავ-მჯდომარედ.

თ) გამგეობა ინაწილებს საზოგადო საქმეს ურთიერთ შორის დათანხმებით.

ი) გამგეობის მოვალეობა არის შემდეგი: საჭირო სახლის და კაცების

---

— არა.

ქალმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

— მაშ იმისი უნდა იქნა?.. გგონია, რომ დაგანებებ?.. დაგითმობ იმას?.. ღვთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით-კი არავის ვახარებ.

— აი, მომკალ!.. ცხვებს რაისთვის ექადი, რას ემართლები! ქალმა მიუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აღგზნებულის თვალებით დაუწყო ყურება.

კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

— მაშ სიკვდილი გინდა?.. კარგი. მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან... ამ სიტყვებით კაცი გადახტა გზას იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბეგობას გადაეფარა და მწარედ შესძახა:

— ბუკუაუ, ბუგუაუ!.. ნუ დამღუპავ, რას სჩადი!.. ვაიმე დაღუპულმა! წამოიძახა იმან და გაჰქანდა ფიალო კლდისკენ.

ის იყო, მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა, როდესაც ვიღამაც ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა.

ქალმა მოიხედა და ღონე-მიხდილმა ძლივს-ღა წარმოსთქვა:

— ონისე! და კაცის ხელებზედ მიელუშა...

### XX

კარგა ღამემ გაიარა. მოწმენდილს ცაზედ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ნაზის სხივით იქაურობას ეკამკამებოდა.

ონისე და ძიძია იმავ ადგილს ისხდენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დასცა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და დაბანგულებსავით სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდენ. მთვარის შუქი ნაზად ესთამაშებოდა ძიძიას დათენთილს სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც გიჟსავით ჰკოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანეთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს, და კვნესა-შერეულის სიტკბოებით ალსავსე გულს აფართხალებდა. ორთავ დაევიწყებოდათ სად იყვნენ, დაევიწყებოდათ თავიანთი თავი და მხოლოდ ერთსღა ცდილობდენ, რომ ერთი მეორეში გადაქცეულიყო.

ესენი ამ თავ-დავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავ-დავიწყებულს ონისეს, მხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალ-წინ წუთზედ გაირბინა მლოცავი ბოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავ-მოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალ-წინ გადეშალა შესაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულნი მიწოლილიყვნენ და უზრუნველად დაეძინათ.

ქვეით გაიმართა მკვირცხლი თოფის-სროლა. თოფები ელავდენ, ცეცხლები ენებსავით გძელდებოდენ და გრიალით განაქრობდენ ლომებრივ მამაცთა სიცოცხლეს.

ონისემ შეხედა ძიძიას, გული აუდუღდა და გუნებაში გაურბინა სიტყვებმა: მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!.. მშვიდობით, ჩემო ვაჟ-კაცობავ!

ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთით თავის დავიწყება, მაგრამ გვიანღა იყო: მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აეღო და მათი დროშა ონისეს დახოცილი ამხანაგების ხროვაზედ ფრიალებდა.

ა. მოხხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

შოვნა, წიგნების და დრო-გამოშვებით გამოცემათა დაბარება, ფულის მიღება და ხარჯვა წიგნთ-საცავის საჭიროებაზედ, წლიური ანგარიშის შედგენა და სხვ. ამ გვარი.

ႨႠ) დაიბარება წიგნები, მხოლოდ მთავრობისაგან ნება-დართულნი და ამასთანავე ყოველთვის ნება-დართვით საზოგადო კრებისა, რომელზედაც უნდა დასწრობდეს ხოლმე არა ნაკლებ მთელის საზოგადოებისა მეხუთე ნაწილისა. გამგეობას საკუთარი უფლებით შეუძლიან დაიბაროს წიგნები, ღირებულნი ერთად სამ თუმნამდის წლის განმავლობაში.

ႨႡ) ყოველი წიგნი, რომელსაც მოიპოვებს გამგეობა უთუოდ უნდა გაკეთებულ იქმნას მკვიდრს ყდაში და ქაღალდში ზედ წარწერით ნომრისა და საზოგადოების სახელ წოდების—ბეჭდით.

ႨႢ) ყოველი წიგნი საზოგადოების წიგნთ საცავისა-უთუოდ უნდა ჩაწერილ იქმნას დავთარში, სადაც უნდა აღინიშნოს: წიგნის სრული წოდება, რიცხვი წიგნის მოპოვებისა და აგრეთვე წიგნის ფასი და მასზედ გასული ხარჯი.

ႨႣ) საზოგადოების ყოველ წევრს აქვს უფლება გაიტანოს ერთად ორ წიგნამდის ერთის თვის ვადით.

ႨႤ) ყოველი წიგნის გატანაზედ წევრი მოვალეა დასტოვოს ბარათი, რომ ის უთუოდ ვადაზედ დააბრუნებს წაღებულს წიგნებს გაუფუჭებლად, და თუ ვადას გადააცილა, გარდიხდის ყოველი გადაცილებული დღისას თითო შაურს ჯარიმას, ერთ თვემდის. ხოლო ერთის თვის შემდეგ წიგნი ჩაითვლება დაკარგულად და წიგნის ფასი ჯარიმის და ხარჯის ზედ შეკრეფათ წართმევა სასამართლოს შემწეობით და თვითაც გამოირიცხება საზოგადოებიდგან.

ႨႥ) ერთხელ გამორიცხული ამხანაგი შეიძლება ხელ-ახლად იყოს მიღებული წევრად ერთის წლის შემდეგ.

ႨႦ) ვადის შემდეგ დაბრუნებული წიგნი ყოველ წევრს შეუძლიან გაიტანოს ხელ-ახლად, თუ იმ წიგნის გატანა სხვას არავისა სურს და, თუ ცდილობს, უნდა მიეცეს პირველად მთხოვნელსა

ႨჁ) რომელი წევრიც წაღებულ წიგნს დაჰკარგავს, ანუ ისე გააფუჭებს, რომ გამგეობა შეუძლებელად დაინახავს იმ წიგნის მიღებას, მაშინ წამღები მოვალეა ორი კვირის განმავლობაში გარდაიხადოს ის ფასი და ხარჯი, რომელიც სწერია იმ წიგნზედ წიგნთ დავთარში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხოს საზოგადოებიდან და წიგნის ფული და საქმის წარმოების ხარჯი გარდახდეს სასამართლოს წესით.

ႨႧ) საზოგადოება თვის შორის, გამგეობის გარდა, ირჩევს ზედამხედველ რჩევას, რომელიც თვეში ერთხელ დაჰხედავს გამგეობის საქმის წარმოებას და შეამოწმებს საქმის კეთილად მდგომარეობას.

ქ) კინიცობაა, რომელიმე მიზეზებისა გამო, თელავის საზოგადო წიგნთ საკითხავი დაიხურა სამუდამოდ და საზოგადოებამ შეაყენა თვისი მოქმედება, მაშინ მოხსენებული წიგნთ-საკითხავი და ყოველი კუთვნილება მისი სრულიად უნდა გარდაეცეს «საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას», და თუ იმ დროს ეს უკანასკნელი საზოგადოება მოსპობილი იყოს, შეეწიროს იმ ქველ-მოქმედ საქმეს, რომელსაც ისურვებს უკანასკნელი კრება საზოგადოებისა.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ოქტომბრის 11-ს

**ლონდონი.** დღეს გაიხსნა საშემოდგომო სესია პარლამენტისა სატახტო სიტყვით, რომელიც იწვევს პარლამენტს ამომრჩევითი კანონის განსარჩევლად, იხსენიებს, რომ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი განწყობილება გვაქვსო, აქებს გორდონის ვაჟკაცობას და ამბობს, რომ მისს დასახსნელად ექსპედიცია იგზავნება დონგოლშიო. ეგვიპტეს, მისს ფინანსიურს გაჭირვებაში, პირდება მალე დახმარებას, ლაპარაკობს იმაზედ, რომ ტრანსვალელმა ბოერებმა ძალად დაიჭირეს ტერიტორია, რომელიც კაპის კოლონიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, და უჩვენებს საშუალებათ, რომელნიც ხმარებულ უნდა იქმნან ბოერების წინააღმდეგ, რათა იძულებულ-ჰყონ იგი პატივისცემად კაპის კოლონიის უფლებათა.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სახებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 სათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობ.ს წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქისონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამ-ღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ ❦ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)


## განცხადებანი

**ნერსესიან-სომხების სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში**, ამ ოქტომბრის 17-ს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია ხელმეორედ ვაჭრობა (განუმეორებლად) 21 დუქნის იჯარით მისაცემად. ეს დუქნები ეკუთვნის სემინარიას და გვერდზედ აქვთ ფიცრულის შენობანიც, გამოსადეგნი სამჭედლოს გასამართავად. დუქნები იმყოფება ნერსესიან სემინარიის ძველის შენობის პირ-და-პირ. (3—1)

**დაგვეკარგა მომცრო გასაღები** გოლოვინის პროსპექტზედ. 5 მან. მიეცემა მას, ვინც იპოვის და შაევერდოვის სააგენტოში მოიტანს. (3—1)

**მმართველობა რუსეთის ცეცხლისაგან მზღვეველი საზოგადოებისა**, რომელიც დაწესებულია 1827 წ., ამით აცხადებს, რომ მან დანიშნა „საზოგადოების" აგენტად ნიკოლოზ გაბრიელის-ძე **ვლასოვი ბორჯომში**, აბასთუმანში, ხაშურში, სურამში და ამ დაბათა მიდამოთა შორის. ამისათვის, ვინც თავიანთი უძრავისა და მოძრავის ქონების დაზღვევას მოისურვებს ხსენებულის ბორჯომის სააგენტოს მოქმედობის წრეში, შეუძლიან მიმართოს ბ. **ვლასოვს**, რომელიც სცხოვრობს დ. **ბორჯომში**. (2—1)

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და გ. რ. ჩარკვიანის მაღაზიაში.
ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.


Доз. ценз. Тифлисъ, 12 Октября 1884 г. სტამბა ა რ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი